ორი ლექსი

ლექსი 1

წყაროს პირს ქანაობს იელი,
იელზე ჩიტს სძინავს,
იელვა,
მერე იწვიმა.
გამოეღვიძა პატარას –
იწყინა,
თვალები დაბლა დახარა,
თავისთვის ჩაიწრიპინა.
ფრთები გაშალა მერე და
იცით, რამდენი იფრინა!

ტარიელ ხალხელაური

ლექსი 2

თოვლიანი ჭალა,
თოვლზე – ნაკვალევი,
ნაკვალევზე ქარი
ბუზღუნით მიდის.
სადღაც მოშლილი აქვს
ძველ სახლს საკვამური,
შიგნით – მარტოობის ბინდი...
თოვლიანი ჭალა,
თოვლზე – ნაკვალევი,
ნაკვალევზე ქარი
ბუზღუნით მიდის.

ტარიელ ხარხელაური



LIVEWORKSHEETS

დავალებები

1. სად სძინავს პატარა ჩიტს?

_____

2. რომელი სიტყვები გაურითმა პოეტმა ქვემოთ ჩამოთვლილს?

ა. იელი _____

ბ. იწვიმა _____

ბ. ჩაიწრიპინა _____

3. ლექსი უსათაუროა. შენ რას შეარჩევდი სათაურად?
(შეურჩიე ორსიტყვიანი სათაური):

_____

4. შეცვალე გამოთქმა:

ა. მსგავსი შინაარსის ერთი სიტყვით;

ბ. მსგავსი შინაარსის ორსიტყვიანი გამოთქმით.

წყაროს პირს –

ა. _____.

ბ. _____.

5. ლექსის შინაარსის მიხედვით, რას გულისხმობს სტრიქონი – „თვალები დაბლა დახარა“? მონიშნე – ✓

☐ ჩიტი საკვებს ეძებს.
☐ ჩიტს ძილი მოერია.
☐ ჩიტი დარდობს.

LIVEWORKSHEETS

6. ამოიწერე სტრიქონი ან სტრიქონები, რომლებიც აღწერს ჩიტის გალაღებას, გახალისებას:

_____

_____ ☐

7. დააკვირდი ილუსტრაციას. ლექსის რომელ სტრიქონს შეესაბამება ის? ამოიწერე:

_____

_____ ☐

8. გაიხსენე შინაარსით მსგავსი სიტყვა:

_____

_____ ☐

9. როგორ გესმის პოეტის ნათქვამი: „შიგნით – მარტოობის ბინდი“? მონიშნე – ✓

☐ სახლში მზის სხივი ვერ აღწევს.
☐ სახლი ღამით ჩაბნელებულა.
☐ სახლში ადამიანი აღარ ცხოვრობს. ☐

10. განმარტე, რას გულისხმობს „საკვამურის მოშლა“?

_____

_____ ☐

11. რომელი სტრიქონით დაადასტურებ, რომ ამ ლექსში ქარი გასულიერებულია?

_____ ☐

12. ლექსის შინაარსის მიხედვით, რა განცდა ეუფლება პოეტს? მონიშნე – ✓

☐ გაოცება ☐ დაღლა ☐ სევდა ☐ სიმშვიდე ☐

LIVEWORKSHEETS

13. რა თავისებურებებია ამ ლექსში? მონიშნე, რომელსაც ეთანხმები:

☐ განცდის გასაძლიერებლად პოეტი იმეორებს პირველ სტროფს.
☐ ლექსის სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა განსხვავებულია.
☐ ლექსის გააზრებაში ბუნების აღწერაც გვეხმარება.

14. უპასუხე შეკითხვებს ორივე ლექსის მიხედვით. პოეტი წერს:

ა. (ჩიტზე) „გამოეღვიძა პატარას, იწყინა“.

ბ. „... ქარი ბუზღუნით დადის“.

- რა მხატვრულ ხერხს იყენებს ის? მონიშნე – ✓

☐ შედარებას ☐ ეპითეტს
☐ გაპიროვნებას ☐ დიალოგს

15. პოეტი, შესაძლოა, ბუნებას აღწერდეს, თუმცა საკუთარ განცდას, განწყობილებას გადმოგვცემდეს. გაიაზრე ლექსები და აღნიშნე:

ა. ერთი მთავარი რამ, რაც ორივე ლექსში საერთოა.

_____

_____

ბ. ერთი მთავარი რამ, რაც ამ ლექსებს ერთმანეთისგან განასხვავებს.

_____

_____

16. განმარტე, რატომ შეიძლება ითქვას, რომ:

ა. პირველ ლექსში იელის ბუჩქი არამთავარი „პერსონაჟია“;

_____

ბ. მეორე ლექსში ქარი მთავარი „პერსონაჟია“.

_____

LIVEWORKSHEETS